4.1. საბანკო კრედიტის გადახდა მოხდება საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით. გრაფიკი შესაძლოა ითვალისწინებდეს სხვა ტიპის გადასახადებსაც. გრაფიკი თან ერთვის საკრედიტო ხელშეკრულებას (დანართი 1) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, საბანკო კრედიტის გაცემა ხდება ნაწილ-ნაწილ (ტრანშებად), ყოველი მომდევნო ტრანშის გაცემის შემდეგ შესაძლებელია შედგეს ახალი (დამატებითი) გადახდის გრაფიკი, თუმცა კლიენტის მიერ აღნიშნულ გრაფიკზე ხელმოწერის არარსებობა არ შეიძლება გახდეს უარის თქმის საფუძველი კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ამასთან, თუ საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და მხარეთა დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ იქნება განსაზღვრული, ყოველი ათვისებული ტრანშის ყოველთვიური გადახდის თარიღი იქნება იგივე, რაც განსაზღვრულია საწყისი გადახდის გრაფიკით.

4.2. თუ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება, მათი დაფარვის რიგითობის არჩევა შესაძლებელი იქნება ბანკის სერვის-ცენტრში, სამუშაო დღის 16:00 საათამდე. თუ კლიენტი არ ისარგებლებს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დაფარვის პირობით და გააჩნია რამდენიმე სახის ვადამოსული დავალიანება ბანკის წინაშე, როგორც უშუალოდ საკრედიტო ხელშეკრულებიდან, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულებიდან) გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების რიგითობას ცალმხრივად განსაზღვრავს ბანკი. გრაფიკში მითითებულ გადასახდელების გადახდა უნდა მოხდეს გრაფიკში მითითებულ თარიღებში, სამუშაო დღის 24:00 საათამდე, კლიენტის ანგარიშზე თანხის განთავსების გზით. თუ გრაფიკში

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

მითითებული გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არასამუშაო დღეს ნებისმიერ დროს განხორციელებული გადახდები აღირიცხება მომდევნო სამუშაო დღეს. ამ პუნქტის მიზნებისთვის არასამუშაო დღეებში იგულისხმება შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.

4.3. **კლიენტის** მიერ გადახდილი ან/და მის ანგარიშზე არსებული თანხით, მათ შორის საბანკო კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ წინასწარ, ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში (მათ შორის საშეღავათო პერიოდით სარგებლობის პერიოდში, ასეთის არსებობის შემთხვევაში), პირველ რიგში იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს გადასახდელი ძირი. ამასთან, **კლიენტის** ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვა, თუ ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს **საკრედიტო ხელშეკრულება** ან/და არ მოითხოვს **კლიენტი**.

4.4. **კლიენტის** მიერ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნისა და **კლიენტის** ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, **ბანკი** ვალდებულია დაფაროს საბანკო კრედიტი არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, თუმცა საბანკო კრედიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა შეწყდება: ა) იმავე დღეს, თუ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნა მიღებულია სამუშაო დღეს; ბ) მომდევნო სამუშაო დღეს, თუ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნა მიღებულია არასამუშაო დღეს.

4.5. **კლიენტის** მიერ, **საკრედიტო ხელშეკრულებაში** ან/და **გენერალურ ხელშეკრულებაში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ფარგლებშიც ფორმდება **საკრედიტო ხელშეკრულება** მითითებული რაიმე სახის საკონტაქტო მონაცემების შეცვლისას, **ბანკისათვის** შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ამ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ყველა სახის ზიანი.

4.6. **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს **საკრედიტო ხელშეკრულებაში** მითითებული პირგასამტეხლოს ოდენობები, მომსახურების (ყველა სახის მომსახურების საკომისიოს/გადასახადის, მათ შორის სმს და დისტანციური მომსახურების გადასახადის ოდენობა) ტარიფები **კლიენტთან** დამატებითი შეთანხმების გარეშე. პირგასამტეხლობის/ჯარიმების, საკომისიოს ოდენობის (მომსახურების ტარიფების) ცვლილების შესახებ ინფორმაცია ცვლილებების ძალაში შესვლამდე 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე პირადად ეცნობება **კლიენტს** სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და კურიერის მეშვეობით. ამასთან, თუ **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობის ცვლილება აუმჯობესებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისგან.

4.7. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმებამდე სრულად გაეცნო მის გაფორმებაზე გადაწყვეტილების მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაციას, **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისთვის გამოყენებული ყველა ფინანსური ხარჯის მოცულობას და დაანგარიშების წესს, შესაძლო სავალუტო რისკებს, მათ შორის იმას, რომ: ა) **კლიენტის** შემოსავლისა და საბანკო კრედიტის ვალუტის სხვაობა წარმოადგენს დამატებით რისკს; ბ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა გაიზარდოს საბანკო კრედიტზე გადასახდელი თანხა; გ) საბანკო კრედიტის გადაუხდელობამ შესაძლოა გამოიწვიოს **კლიენტის** ანგარიშების დაყადაღება ან/და **კლიენტის** საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების რეალიზაცია საბანკო კრედიტის (მათ შორის მასზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოს და ნებისმიერი სხვა გადასახდელის) დასაფარად.

4.8. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვისცენტრებში, ისე ვებ-გვერდის <https://credobank.co/47W9kg0>, **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის <https://www.facebook.com/CredoBank> ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე: <https://credobank.co/3BDT1Z9>. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: <https://credobank.co/3BDT1Z9> და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.

4.9. **ბანკი** უფლებამოსილია, **საკრედიტო ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, **კლიენტს** მოსთხოვოს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რაც დაკავშირებული იქნება **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე სრული ინფორმაციის მიღებასთან/მონიტორინგთან.

4.10. **კლიენტის** მიერ **ბანკთან** გაფორმებული **საკრედიტო ხელშეკრულების**, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრიობი სან/და **ბანკთან** გაფორმებული ნებისმიერი **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობის დარღვევის გამო, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს** საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის, დარიცხული/დასარიცხი პროცენტის და ნებისმიერი გადასახდელის (მათ შორის პირგასამტეხლოს და გრაფიკით გათვალისწინებული სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელის) სრულად ან ნაწილობრივ, დაუყოვნებლივ, ვადაზე ადრე გადახდა.

4.11. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს **საკრედიტო ხელშეკრულების** მოქმედება, თუ **კლიენტი** დაარღვევს **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობას, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიზნობრიობას ან/და **კლიენტი** დაარღვევს **ბანკთან** გაფორმებულ ნებისმიერი **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობას. **ბანკის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულების** ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ **საკრედიტო ხელშეკრულების** შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

4.12. **საკრედიტო ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით. ამ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ **საკრედიტო ხელშეკრულების** შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

4.13. თუ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან/გენერალური ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე სახის უზრუნველყოფის საშუალებით (მათ შორის იპოთეკით, გირავნობით ან/და თავდებობით) **ბანკის** მოთხოვნა **კლიენტის** მიმართ არ ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ უზრუნველყოფის საშუალების ნებისმიერი ფორმით რეალიზაციის (მათ შორის **ბანკის** საკუთრებაში გადასვლისას) შედეგად ამონაგები თანხა არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად. გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, თუ საბანკო კრედიტი გაცემულია „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით განსაზღვრული გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ გენერალური ხელშეკრულების/საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით გადახდევინების მიქცევით (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით), გარდა ამავე კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, კერძოდ, უზრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევებისა.

4.14. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრულია საბანკო კრედიტის გამოყენების მიზნობრიობა, **ბანკი** უფლებამოსილია, საბანკო კრედიტის თანხა (სრულად ან ნაწილობრივ) **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს **საკრედიტო ხელშეკრულებით** (ან/და შესაბამისი განაცხადით) განსაზღვრული მესამე პირის (მიმღების) ანგარიშზე.

4.15. **მხარეები** ადასტურებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ხელშეკრულების მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **კლიენტი**:

4.15.1. თითოეული ასეთი **კლიენტი** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს.

4.15.2. **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) **კლიენტს**.

4.15.3. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო კრედიტის თანხა ჩარიცხოს ერთი ან რამდენიმე **კლიენტის** ანგარიშზე,

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

საკუთარი შეხედულებისამებრ (ასევე, თუ საბანკო კრედიტის თანხის ჩარიცხვა ხდება 1-ზე მეტი კლიენტის ანგარიშზე, ჩასარიცხი თანხის პროპორციასაც ცალმხრივად განსაზღვრავს **ბანკი**), თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

4.15.4. თითოეული კლიენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი კლიენტები **ბანკთან** ურთიერთობაში. კლიენტი/უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე/თავდები უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაფაროს **საბანკო კრედიტი** ვადაზე ადრე (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ), დანარჩენი კლიენტების სახელით ხელი მოაწეროს **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

4.16. თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის მოცულობა დაკავშირებულია რაიმე სახის საჯარო ინდექსზე და თუ აღნიშნული ინდექსის ცვლილება გავლენას ახდენს საპროცენტო სარგებლის მოცულობაზე, **ბანკი** აცნობებს კლიენტს აღნიშნულის შესახებ სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და **ბანკის** ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით, საჯარო ინდექსის ცვლილებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, თუმცა **ბანკის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს კლიენტს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.17. თითოეული კლიენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი კლიენტ(ებ)ი **ბანკთან** ურთიერთობაში. მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაფაროს **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, ნებისმიერი კლიენტის ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი ვალდებულება (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ), დანარჩენი კლიენტების სახელით ხელი მოაწეროს როგორც **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

4.18. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საკრედიტო ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე. {SakreditoShuamavali}

4.19. კლიენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ არ არღვევს/არ დაარღვევს საქართველოში მოქმედ და საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცვით, შრომის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესახებ კანონმდებლობას და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დანერგავს გარემოს, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს. კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გარანტიის დარღვევა წარამოდგენს **საკრედიტო ხელშეკრულების** მნიშვნელოვან დარღვევას და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც ვადამოსულის, ისე ვადამოუსვლელის) დაუყოვნებლივ შესრულება.

4.20. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საკრედიტო ხელშეკრულება** იდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს N388 დადგენილების „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ და სსიპ "აწარმოე საქართველოსა" (შემდგომში **სააგენტო**) და **ბანკს** შორის გაფორმებული ხელშეკრულების (შემდგომში - **მემორანდუმი**) (სახელმწიფო პროგრამის სუბსიდირების კომპონენტის) ფარგლებში.

4.21. **მხარეები** თანხმდებიან, რომ კლიენტზე გაცემულ საბანკო კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მას შემდეგ, რაც **ბანკის** მიერ დადგენილი წესების/პროცედურებისა და საქართველოს კანონმდებლობითა (2021 წლის 2 აგვისტოს N388 დადგენილების „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ) და **მემორანდუმით** დადგენილი წესების შესაბამისად კლიენტი დააკმაყოფილებს სახელმწიფო სუბსიდირების კომპონენტებს.

4.22. კლიენტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო **საკრედიტო ხელშეკრულებაში** მითითებულ ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო პროგრამის სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებასთან.

4.23. **სააგენტო** უფლებამოსილია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნებისმიერ დროს ოჯახის/მარტოხელა მშობელის/ქვრივის მიერ პროგრამაში მონაწილეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, **ბანკთან** ან/და კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, განახორციელოს კლიენტის მიერ მიღებული საბანკო კრედიტის მიზნობრიობის მონიტორინგი. ასევე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში მიიღოს **ბანკის** ხელთ არსებული კლიენტის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია შეუზღუდავად და მიიღოს **ხელშეკრულებისა** და გრაფიკის ასლები.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

4.24.სააგენტო უზრუნველყოფს კლიენტისათვის გაცემულ საბანკო კრედიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გრაფიკის შესაბამისად, კლიენტის ვადამოსული გადახდის ვალდებულების არსებობისას.

4.25.კლიენტი ვალდებულია საბანკო კრედიტით გათვალისწინებული თანხის გადახდა უზრუნველყოს გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტოს მიერ თანადაფინანსება არ განხორციელდება.

4.26.ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად შეცვალოს საკრედიტო ხელშეკრულების პირობები დაუყონებლივ (მათ შორის პირგასამტეხლოს ოდენობები, მომსახურების, ყველა სახის მომსახურების საკომისიოს/გადასახადის, მათ შორის სმს და დისტანციური მომსახურების გადასახადის ოდენობა და სხვა) კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ, შეწყდება კლიენტისათვის სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსება.

4.27.კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ზედიზედ 120 (ას ოცი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების ან/და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან შეწყდება კლიენტის თანადაფინანსება სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში.

4.28.საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართლი გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ კლიენტის თანადაფინანსება გაგრძელდება, თუ არ იზრდება სააგენტოსათვის თანადაფინანსების თავდაპირველი ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტოს მხრიდან შეწყდება კლიენტის თანადაფინანსება სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში.

4.29.საბანკო კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში, თუ გაიზრდება თავდაპირველი ვადა, სააგენტოს მხრიდან შეწყდება კლიენტის თანადაფინანსება სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში.

4.30.სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაცემულ/გასაცემ საბანკო კრედიტზე აკრძალულია საბანკო კრედიტის გადახდის თარიღის ავტომატური ცვლილება კლიენტის მიერ საბანკო კრედიტის ერთჯერადად/მრავალჯერადად წინსწრებით დაფარვის გამო.

4.31.სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაცემულ/გასაცემ საბანკო კრედიტზე აკრძალულია გრაფიკის შესაბამისად დარიცხული პროცენტის გადანაწილება.

4.32.სააგენტოს მხრიდან საბანკო კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში შეწყდება იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში.

4.33.სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კლიენტზე გაცემულ კრედიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი სააგენტოს მიერ თანადაფინანსდება სესხის გაცემიდან 60 (სამოცი) თვის განმავლობაში (ამასთან, თუ კომერციული ბანკის მიერ გაცემული კრედიტის ვადა 60 (სამოცი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას გაცემული სესხის ვადით), არაუმეტეს 5%-ის ოდენობით შემდეგი წესით:

4.33.1.საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3,5 %-ის, მაგრამ არაუმეტეს 6 %-ის ოდენობით - თუ კლიენტს კრედიტის აღების მომენტში ჰყავს 1 ან 2 შვილი.

4.33.2.საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 1,5%-ის, მაგრამ, არაუმეტეს 8%-ის ოდენობით - თუ კლიენტს კრედიტის აღების მომენტში ჰყავს 3 ან მეტი შვილი (ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული პირობა გავრცელდება კლიენტზე, რომელსაც სახელმწიფო პროგრამის მოქმედების პერიოდში შეეძინება მესამე შვილი ან/და შვილად აიყვანს მესამე არასრულწლოვან პირს).

4.33.3.რეფინანსირების განაკვეთის 5%-მდე შემცირების შედეგად სააგენტოს მიერ შეწყვეტილი სუბსიდირება, ავტომატურად განახლდება რეფინანსირების განაკვეთის 5%-ზე მეტად გაზრდისთანავე, სუბსიდირების დარჩენილი ვადით.

4.33.4.სუბსიდირების მანძილზე სააგენტოს მიერ გადასახდელი სუბსიდირების თანხის ოდენობა ცვალებადია და დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთზე.

4.34.კლიენტი ინფორმირებულია, რომ ბანკი ხელშეკრულების თავდებს/თანამსესხებელს, ასევე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის/იპოთეკის/საბანკო გარანტიის ხელშეკრულების მხარეებს გადასცემს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებს, ხოლო მათი მოთხოვნის შემთხვევაში გადასცემს მათ ხელშეკრულების (მათ შორის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების და ნებისმიერი დანართ(ებ)ის) ასლებს. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, წინამდებარე პუნქტში აღნიშნულ პირებს ნებისმიერ დროს გადასცეს ხელშეკრულების (მათ შორის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების და

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ნებისმიერი დანართ(ებ)ის) ასლ(ებ)ი, მათი მხრიდან მოთხოვნის დაფიქსირების გარეშე ან/და კლიენტის დამატებითი თანხმობის ან/და ინფორმირების გარეშე.

4.35.საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერ კორესპონდენციას, შეტყობინებას, სასამართლო გზავნილს, გამარტივებული წარმოების დაწყებისთვის კანონით განსაზღვრულ შეტყობინებას, სააღსრულებო/სპეციალისტის შეტყობინებას **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის/ჩააბარებს **საკრედიტო ხელშეკრულებაში/განაცხადში** დაფიქსირებულ კლიენტის ელექტრონულ ფოსტაზე, ტელეფონის ნომერზე, მისამართზე, დისტანციურ არხში MyCredo - ინტერნეტ/მობაილ ბანკში ან/და სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით. ასევე, კლიენტის მიერ **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ დაფიქსირებულ სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით.

4.36. წინამდებარე **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი წერილი/შეტყობინება/გზავნილი ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტს შეტყობინება გაგზავნება **ბანკისთვის** ცნობილ ბოლო ფაქტობრივ/რეგისტრირებულ მისამართზე ან/და ელექტრონულ მისამართზე ან/და MyCredo- ინტერნეტ/მობაილ ბანკში, მიუხედავად იმისა, თუ ადრესატმა შეიცვალა საცხოვრებელი /ელექტრონული მისამართი ან/და ადრესატი თავს არიდებს შეტყობინების მიღებას ან/და მის მიერ საცხოვრებელი/ელექტრონული მისამართის ცვლილების შესახებ ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული **ბანკისთვის**. ბანკი/სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიურო/სპეციალისტი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ თავად განსაზღვროს წერილის/გზავნილის/გადაწყვეტილების/შეტყობინების გაგზავნა/ჩაბარებისთვის მისამართის/არხის არჩევის წესი.

4.37. **ბანკის** მიერ, მის ხელთ არსებულ კლიენტის საკონტაქტო რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სრულად და ჯეროვნად გაგზავნილად და კლიენტისთვის ჩაბარებულად, მიუხედავად იმისა კლიენტს ფაქტობრივად ჩაბარდება თუ არა შეტყობინება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყო, როგორც უშუალოდ კლიენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეტყობინების განზრახ ჩაუბარებლობით, ისე კლიენტი მიერ საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის საცხოვრებელი მისამართის) ცვლილებით.

4.38. **ბანკი** უფლებამოსილია შეტყობინება კლიენტის/მოვალის ელექტრონულ მისამართზე გააგზავნოს ნები სმიერიელექტრონული მისამართიდან, რომელიც იდენტიფიცირდება **ბანკის** დომენური სახელით: @credo.g e, ხოლო კლიენტი ვალდებულია ნებისმიერი პასუხი გააგზავნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე: info@credo.ge. (შენიშვნა: წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გზავნილი/შეტყობინება კლიენტისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება მის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართ(ებ)ზე გაგზავნის გზით და ოჯახის ქმედუნარიან წევრზე ჩაბარებით ან/და კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით).

5. კონფიდენციალურობა და კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი მესამე პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

5.1.1. თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია მესამე პირისთვის.

5.1.2. თუ ის ცნობილი იყო მხარისათვის **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმებამდე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

5.1.3. რომლის მესამე პირისათვის გადაცემაც სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით.

5.2. ყოველგვარი ექვის თავიდან აცილების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე:

5.2.1. სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და ნებისმიერ, მსგავსი ფუნქციის მქონე პირს მისცეს თანხმობა, რომ მათ **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაცია მრავალჯერადად გადასცენ ისეთ მესამე პირს, რომელიც შესაბამისი გარიგების საფუძველზე თავადაც აწვდის სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს აღნიშნულ ინფორმაციას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

5.2.2. სს „კრედიტინფო საქართველოსგან“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირისგან მრავალჯერადად მოიძიოს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გააჩნია აქტიური საკრედიტო ვალდებულება **ბანკის** წინაშე, გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და კომენტარები

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

,,შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

5.2.3. **კლიენტისათვის** ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების (მათ შორის საკრედიტო, სადეპოზიტო და სხვა) შეთავაზების/გაწევის მიზნით, მრავალჯერადად გადაამოწმოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5.2.4. **კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს (მათ შორის **ბანკის** კრედიტორებს), თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია **ბანკის** უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, **ბანკის** მიერ მესამე პირების წინაშე სხვადასხვა გარიგებებით ნაკსრი ვალდებულებების შესრულებისათვის, **კლიენტის** მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის

მესამე პირისათვის დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკების პროცესში), **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ნაკსრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **კლიენტისათვის** რაიმე სახის მომსახურების/პროდუქტის შეთავაზების ან/და რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

6. პრეტენზიები და დავები

6.1. **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის პრეტენზია **ბანკმა კლიენტს** უნდა წაუყენოს **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული საკომუნიკაციო ერთი ან რამდენიმე არხით. **კლიენტი** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან, შეტყობინებაში მითითებულ ვადაში სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე.

6.2. **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე **მხარე** ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული **მხარე** უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

6.3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

6.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულების შინაარსს კლიენტი გაეცნო და ეთანხმება, ასევე ადასტურებს რომ სრულად ფლობს ხელშეკრულების ენას, ხელშეკრულების ენასთან დაკავშირებით მისი გაფორმების დროისთვის ასევე სამომავლოდ არ გააჩნია პრეტენზია.

7. ზოგადი პირობები

7.1. **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (თბილისის იუსტიციის სახლი).

7.2. **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებები **კლიენტმა** უნდა შეასრულოს პირადად. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილია **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს, **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამოიცხავს **ბანკის** უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოსვლელი მოთხოვნის) მიიღოს მესამე პირისგან.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ გავრცელდება **კლიენტზე** მისი სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული არ გამოიწვევს **საკრედიტო ხელშეკრულების** სრულად ბათილობას და **კლიენტზე** გავრცელდება მხოლოდ ის პირობები, რომლებიც მისი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ გავრცელდეს მასზე.

7.4. ყველა საკითხი, რაც არ არის დარეგულირებული **საკრედიტო ხელშეკრულებით**, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ ფლობს ქართულ ენას, **საკრედიტო ხელშეკრულება** შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს მისთვის გასაგებ უცხო ენაზეც, რა დროსაც, ქართულ და უცხოურ ენაზე შედგენილ ტექსტს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე გაფორმებულ **საკრედიტო ხელშეკრულებას**.

7.6. **საკრედიტო ხელშეკრულების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ **მხარეებს**.